# ერი

№ 23
წელიწადი პირველი
1913

ყოველდღიური გაზეთი

**ფ ა ს ი:**

| | |
|---|---|
| წლიურათ | 7 მანეთი |
| ნახევარი წლით | 4 მანეთი |
| თვიურათ | 4 აბაზი |

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი და-ნარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

პარასკევი, 29 ნოემბ.

მისამართი: Кутаисъ редакція газ. „Е Р И“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



„რადიუმი“
29, 30 ნოემბერის და 1 დეკ.
ახალი პროგრამა.

განყოფ. I.
პატე-ჟურნალი № 244-ე

II.
„დრამა ნადირობის დროს“
(საშინელი ისტორია)
ანტ. ჩეხოვის მოთხრობიდან 3 ნაწილათ.

III.
„თუ რეცხვით არა სრი-ალით მაინც“
(კომიკური).

დრაფი ბიბერი ტრიკო მაუდი.

პაევზე დამყარებული ამხანაგობა
ს. მ. პირაპოზოვი
და ზ. გ. ოგანოვი

ბუმაზეი ფლანელი ვიგონი შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი
საზამთრო
საქონელი

კოტიკი პლიუში ველვეტი.

შაბათობით იყიდება
იაფათ
ნაჭრები.

ველვიური ვენუია იდეალი ფლორა.

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებიდან და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, გეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

## დიდი იაფი ვაჭრობა.
მოსკოვის საფართლო მაღაზიაში
(ფრანცოვის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)
18 ნოემბრიდან გაიხსნება
## დიდი იაფი ვაჭრობა

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოვლადგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.

ვ...ც თუთუნს ეძევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

პაროსი { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა ძმათა სეილანოვებისა.
თ ფ ი ლ ი ს შ ი.

## ქ უ თ ა ი ს ი
პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.
## მუდმივი საწოლებით
## თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

**დ ი ლ ი თ.**

| | |
|---|---|
| გ. ა. აშიანცი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საშვილოსნოს | 11—12 |
| მ. დ. ბეთანელი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საშვ., ქალთა და შინაგ. | 12½ 2 |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის | 4½—5½ |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საშვილოსნო, ქალთა და შინაგ. | 5½—6½ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძუძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი. წ.

## ახლათ გამოშვებული პაპიროზები
„დ ე ლ ი - ბ ა ბ“

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. იყიდება ყველგან.

პაპიროზები კეთდება გამორჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.

თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა“ ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

## გამოვიდა გასასყიდლათ ნოტებზე გადაღებული ლექსი:
## „ზ ე ნ ა ც ვ ა ლ ე“
ი. გრიშაშვილის და ი. სარაჯიშვილის სურათებით.

ფასი ხუთი შაური.

**აქიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**აქიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, ოფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**აქიმი** ვ. მ. ლორთქიფანიძე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას.

**აქიმი** გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

**აქიმი** ი. ჩარექიშვილი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

**დაბა წყალტუბო**
აქიმი ლ. დ. ნაზაროვი
მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.


## ქართული პრესა.

თუ ღმერთი გასწყრა და „მერცხლის“ პუბლიცისტებს ვინმე გაეკამათა აუცილებლათ მახეში ორივე ფეხებით გაებმება, ასეთი ძლევამოსილებითაა აღსავსე მათი ლოღიკა.., გნებავთ დარწმუნდეთ? აბა ყური უგდეთ:

„ჩვენს კანდიდატს კ. ჩხეიძეს მიემხრო ყველა გლეხი, განურჩევლათ ეროვნებისა და სარწმუნოებისა, ქალაქების ყველა „ვიბორშჩიკი“ გარდა სომეხ გ. თუმანოვისა, რომელმაც ანდრონიკოვი არჩია ჩხეიძეს, და მუშათა წარმომადგენლები მოკლეთ, მთელი დემოკრატია შეერთდა ჩვენი მეთაურობით შავრაზმელთა შესამუსრავათ და ამიტომაც 5—6 არასოციალისტი „ვიბორშჩიკი“ დემოკრატიას მიემხრო, მზგავსათ იმისა, როგორც 1905 წელში ჩვენს გამოსვლებს გაჰყვებიც მედლებოდნენ. ეს დემოკრატიის ძლიერებაა*)“.

ჭეშმარიტათ „დასელური ლოღიკა“ ამგვარ ულოღიკობაზე შორს ვერ წავა. კიდეც სჭრიან და კიდეც კერვენ. როდესაც ვაჭრები და სხვა ბურჟუაზიული ელემენტები სოციალდემოკრატებს უკმევენ გუნდრუკს—ეს დემოკრატიის ძლიერებაა, როდესაც მზგავსი ელემენტები ფედერალისტის კანდიდატს აძლევენ ხმებს—ეს უკვე ფედერალისტთა უძლურებაა.

*) ხაზი ჩვენია.

გაგვაგებიონ მაინც, დალოცვილიშვილებმა თუ ყველა ეს რა ყაიდის სოფიზმია, ასეთ „ლავაშებს“ რომელ ტვინის სალაროში ინახვენ, რომ ყოველი ვაჭრის ტალკვესათ ხმარობენ ხომ ასეთ „აბლაბუდას“? ვსთქვათ, რომ „მერცხლის“ პუბლიცისტები სალი აზროვნების ხალხია, მაგრამ ერთი ვკითხოთ:—როდესაც თფილისის ბურჟუაზია სოციალ-დემოკრატებს ეთაყვანება და ყველაფერი ეს დემოკრატიის ძლიერებას შეადგენს, დემოკრატიის ძლიერებაა თუ უძლურება, როდესაც ქუთაისის ბურჟუაზია მათგან ხელს იღებს? დასელებს სურთ ერთი ხისგან ბარიც გამოსჭრან და ნიჩაბიც... ალბათ „მერცხალში“ დაპუდრებული ნაგავის გასახვეტათ და გასაწმენდათ დროცაა!

## სახელმწიფო საბჭო.

27 ნოემბრის სხდომა.

სახელმწიფო საბჭო აკიმოვის თავჯდომარეობით სამი წვრილი კანონპროექტის განხილვას შემდეგ იხილავს პოლონეთში საქალაქო თვითმართველობის შემოღების კანონპროექტს. თავჯდომარე აცხადებს: ეს პროექტი ერთხელ უკვე განიხილა სახელმწიფო საბჭომ. შემდეგ სათათბირომაც და ახლა ისევ საბჭო იხილავს. დღეს პროექტის მხოლოდ იმ მუხლებს განვიხილავთ, რომელიც სათათბირომ შესცვალა. ორატორებს ექნებათ მხოლოდ ნახევარი საათით ლაპარაკის უფლება. იხილვენ პროექტის 31 მუხლს, რომელიც იწყნარებს ქალაქის თვითმართველობის სხდომაზე პოლონურ ენაზე ლაპარაკს. მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე აცხადებს: მთავრობის სურს ამ საკითხის შესახებ, დამოუკიდებლათ საბჭოს აზრისა, თავისი აზრი გამოსთქვას. მთავრობა დღესაც თანაუგრძნობს იმ აზრს, რომელიც მან გამოსთქვა ამ საგნის შესახებ 1906—7—9 და 10 წლეებში. ძირითადი კანონების მესამე მუხლი სახელმწიფო ენათ რუსულ ენას აღიარებს, მაგრამ იწყნარებს ამასთანავე ადგილობრივი ენის ხმარებასაც. ქალაქის თვითმართველობათა სამეურნეო ნაწილის გაუმჯობესება დამოკიდებულია მასში ადგილობრივი ელემენტების მონაწილეობის მიღებაზეც. ქალაქის მცხოვრებლებმა ვისლის მხარეში კარგათ არ იციან რუსული ენა. ეს სამწუხაროა, მაგრამ ამ მოვლენას ანგარიში უნდა გავუწიოთ. აუცილებელ საჭიროებას შეადგენს ქალაქის საქმეებში საზოგადოებრივი ძალებიც ღებულობდენ მონაწილეობას. პროექტის ამ მუხლმა მთავრობის წრეებში უკმაყოფილობა გამოიწვია. აღნიშნავდენ: რისთვის დავუშვათ გამონაკლისი ერთი განაპირა ქვეყნის სასარგებლოთო, რომელმაც შეიძლება მიიღოს ფედერაციის სახეო. ადგილობრივი ენის ხმარებას ქალაქის თვითმართველობაში ადგილი ქონდა ბალტიის მხარეში, იქ გერმანულ ენას ხმარობდენ, მაგრამ 1889 წლიდან ისევ უარყვესო. საბჭომ, 94 ხმით წინაალმდეგ 74 ხმისა, უარყო ქალაქის თვითმართველობებში პოლონურ ენაზე მსჯელობა. მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე ამბობს: კანონპროექტმა თუ მიზანს მიაღწია, მთავრობა საბჭოს მხარს დაუჭერს, მაგრამ, მისი აზრით, საბჭოს გადაწყვეტილება ქალაქის მდგომარეობას ვერ გააუმჯობესებს. ჯერ მაინც შეწყნარებული უნდა იქნას პოლონური ენა და როდესაც ქალაქის მეურნეობა გაუმჯობესდება, მაშინ შესაძლებელი გახდება პოლონური ენის შემოღება. ლაპარაკობს სტიშინსკი და მწუხარებას გამოსთქვამს, რომ კოკოვცოვი რუსული ენის წინაალმდეგ მიდის. ორატორი აღნიშნავს: ვისლის მხარეში ქალაქის თვითმართველობაში მოსამსახურეებმა ყველამ იცის რუსული ენა. თვითმართველობის ინსტიტუტი ბალტიის მხარეშიც საკმაოთ გავრცელებულია. იქ რუსულ ენას გერმანული ენაც გაუთანასწორეს. 12 წელს შემდეგ მთავრობა სხვა აზრს დაადგა და ქალაქის თვითმართველობიდან გერმანული ენა სრულებით განდევნა. შემდეგ რუსული ენის შემოღება ადვილი შეიქნა. პოლონეთის მცხოვრებთა 40% ებრაელები შეადგენენ. ცხოვრობენ იქ გერმანელებიც. სამართლიანობის პრინციპს თუ დავადგებით, უნდა შემოვიღოთ ხმარებაში ებრაული და გერმანული ენები. კანონპროექტის სათათბიროს რედაქციით მიღების მომხრეები ამას არ შვრებიან. მათ ადგილობრივი ენების თანასწორუფლებიანობა კი არ აქვთ მიზნათ, არამედ პოლონური ენა უნდათ მეორე სახელმწიფო ენათ გახადონ. სათათბიროს რედაქციით პროექტის მიღება გამოიწვევს სხვა ხალხის მოთხოვნილებას მათი ენის ხმარებაში შემოღების შესახებ. პოლონელები რაკი მიიღებენ საქალაქო თვითმართველობას, მოისურვებენ პოლონურს საერობო თვითმართველობასაც და შემდეგ კი პოლონურ სასამართლოს, სენატს და საკანონმდებლო კრებას.

ზინოვიევი ამბობს: საკითხი წმინდა ადგილობრივია და არ არის კარგი, რომ მას პოლიტიკურ ხასიათს აძლევენ. კანონპროექტის მიზანია კარგი ადმინისტრაციის შექმნა ვისლის მხარეში. სენატორ ნეიდგარდტის რევიზიამ ქალაქის თვითმართველობაში საქმეების შესაფერ ნიადაგზე დაუყენებლობა აღმოაჩინა. ვისლის მხრის ქალაქებში სალაპარაკო ენათ პოლონური ენაა აღიარებული. თუ სავალდებულოთ გავუხდით ქალაქის თვითმართველობაში ასარჩევ პირთ რუსული ენის ცოდნას, ამით ადგილობრივ მცხოვრებთა და ქალაქის თვითმართველობას შორის ხიდს ჩავტეხთ. ორატორი სურვილს გამოსთქვამს, რომ პროექტი სათათბიროს რედაქციით მიიღონ.

ობოლენსკი პირველი ამბობს: საკითხს პრაქტიკული თვალით უნდა შევხედოთ. შეუძლებელია ქალაქის თვითმართველობებში ადგილობრივ მცხოვრებთ მონაწილეობის მიღება ავუკრძალოთ. პოლონურ ენაზე ლაპარაკობს სამეფოს ყველა მცხოვრები. რაც შეეხება რუსულ ენას, ის თუმცა იციან, მაგრამ არა საკმაოთ. აუცილებლათ უნდა მივსცეთ საშვალება პოლონელთ პოლონურ ენაზე ლაპარა-

კისა. რაკოვიჩს დიდი რუსეთის გასაერთიანებლათ საჭიროთ მიაჩნია ყველგან რუსული ენის შემოღება. ის ამბობს: საფრანგეთში, იტალიაში, ესპანიასა და გერმანიაში ყველგან ერთი სახელმწიფო ენაა. სახელმწიფო ენის საკითხი დიდათ საყურადღებო საკითხია. რუსეთმა პოლონეთს ყველაფერი მისცა, რაც კი შესაძლებელი იყო. რუსეთმა ჰაობიანი ქვეყანა კულტურულ ქვეყნათ გარდაქმნა. პოლონელებმა რაც შესაძლებელია, იმაზე მეტი არ უნდა მოითხოვონ. უნდა გვახსოვდეს მებადურისა და ოქროს თევზის ზღაპარი. სახელმწიფოებრივი ინტერესების შელახვას სჯობია ადგილობრივი ინტერესები შეილახოს. თუ კანონმა შეიწყნარა პოლონელისაგან რუსული ენის არ ცოდნა, ის ამ ენას არასოდეს არ შეისწავლის. მაშინ რუსული ენა სრულიად გაიდევნება პოლონეთიდან. ორატორი მოუწოდებს საბჭოს, უთხრას პოლონელებს: მავნე ოცნებებს თავი დაანებონ. შებეკო სტიშინსკისა და რაკოვიჩის წინააღმდეგ ლაპარაკობს: შეუძლებელია პოლონეთის შედარება ბალტიის მხარესთანო. შებეკო რაკოვიჩის საპასუხოთ ამბობს: ელზასში მცხოვრებლები გერმანულათ ლაპარაკობენ, მაგრამ ფრანგები კი არიან. ორატორს არ მოსწონს, როდესაც რუსეთის პალატაში პოლონური საკითხის დროს პრუსიას იხსენიებენ. სხდომას მცირე ხნით ხურვენ. სხდომის განახლებისას გურკო პოლონურ ენის შეწყნარების წინააღმდეგ მიდის და ამბობს: არ არის მართალი, ვითომ პოლონური ენა პოლონეთში სამშობლო ენათ იყოს აღიარებული. სტატისტიკურ ცნობებს თუ გავეცნობით, დავინახავთ, რომ პოლონეთის 116 ქალაქიდან მხოლოდ 23 ქალაქში სჭარბობს პოლონელთა რიცხვი, 93 ქალაქში კი პოლონელები მცხოვრებთა უმცირესობას შეადგენენ. ორატორი თხოულობს რუსეთის იმპერიაში ყველგან სახელმწიფოსა და საზოგადო დაწესებულებებში რუსული ენა იხმარებოდეს. შრეიბერი წინანდელ ორატორებს არ ეთანხმება. მისი აზრით პოლონური ენის ქალაქის თვითმართველობებში შემოღება არ ეწინააღმდეგება ძირითად კანონს, პირიქით, გარდა კანონის ნებართვისა, მას თხოულობს მთავრობა და სათათბირო და ამიტომაც სრული თანაგრძნობის ღირსია. ლაპარაკიბს ვიტეც. ამ მუხლის შესახებ მსჯელობა დასრულდა. უყარეს კენჭი და, როგორც ზევით არის აღნიშნული, 94 ხმით წინააღმდეგ 74 ხმისა, უარყვეს პოლონური ენის ხმარება. თავჯდომარე აცხადებს: სხდომის მცირე ხნით დ ხურვის დროს გადმომცეს, რომ გურკოს კოკოვცოვის მიმართ შეუფერებელი გამოთქმა უხმარია; თუმცა ახლა გვიანაა, მაგრამ მაინც ვაძლევ გაფრთხილებას გურკოს. შემდეგ იხილვენ სათათბიროს მიერ შეცვლილ სხვა მუხლებს, მსჯელობაში მონაწილეობას ღებულობს, ბოგალეა, გრიბი და სტიშინსკი მიიღე რამდენიმე მუხლი სტიშინსკის წინადადებისა კობილინსკის შესწორებით, შემდეგი სხდომა 29 ნოემბერს მოხდება.

# ახალი ამბავი.

ქალაქის საბჭოს მორიგი სხდომები 1914 წლის განმავლობაში ამრიგათ იქნება გაწესრიგებული: იანვარში—7-სა—20-ს რიცხვებში, თებერვალში 3—17, მარტში 3—17—31, აპრილში 15—28, მაისში 12—27, ივნისში 9—23, სექტემბერში 9—23, ოკტომბერში 6—2, ნოემბერში 3—17, დეკემბერში 1—15.

✦ ქუთაისში დაარსებული ვაჭართა საზოგადოება შემწეობას სთხოვს შავიქვის მრეწველთა საბჭოს კომერციულ ცოდნათა გამავრცელებელი შკოლისათვის, რომელსაც ზემოხსენებული საზოგადოება ხსნის მომავალი 1914 წლის სექტემბერში.

✦ ოკტომბრის განმავლობაში საზღვარგარეთ გაუზიდავთ 7,596,464 ფუთი შავიქვა. ამაში ფოთიდან 5,359576 ფუთი და ბათომის ნავსადგურიდანაც 2,236,888 ფუთი ქვა.

✦ სააზნაურო ბანკის რწმუნებულთა კრება გუშინდლამდი გაგძელდა. რწმუნებულები სულ ოთხჯერ შეიკრიბენ.

✦ ჭიათურის შავიქვის მრეწველთა საბჭო გზავნის ჭიათურის საქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს ივანე გომელაურს პეტერბურგს სახალხო სასწავლებელთა და სახალხო განათლების წარმომადგენელთა კრებაზე დასასწრებლათ.

✦ ბ ნი მ. მარჯანიშვილისაგან ჩვენმა რედაქციამ მიიღო 14 მანეთი და ათი შაური მსახიობი ქალის დესპინე ივანიძის ასულის გადასაცემათ. შემომწირველთა სია: მ. მარჯანიშვილმა 5 მან., ნ. გვარამემ, ი. კაჭახიძემ, ი. საყვარელიძემ, ქუქუნაშვილმა, ვერელმა, მ. კაკაბაძემ და დ. თედეიშვილმა თითო მანეთი; გ. მატარაძემ, გ. პავლიაშვილმა, ა. ჭუმბურიძემ, ვ. ხუჭუამ და იქსმა ათ-ათი შაური. ბ. მარჯანიშვილი იწერება, რომ ივანიძის ასულის გაჭირვება „თემში“ მოთავსებული ცნობის მეოხებით შევიტყო და ამის გამო მადლობას უძღვნის ხსენებულ ორგანოს.

✦ 30 ნოემბერს თფილისის სასულიერო სემინარიაში მოწაფეთა მიერ გაიმართება ლიტერატურულ-მუსიკალურ-ვოკალური საღამო. წარმოადგენენ ვოდევილს „ორი მშიერი“ და აგრეთვე წაიკითხვენ ლექსებსა და სცენებს. საკუთარ ლექსებს წაიკითხავს ვ. გორგაძე და გ. ლეონიძე, ასლანიშვილი წაიკითხავს დ. მესხის მიერ დაწერილ იმერულ სცენებს და სხ.

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა სიმონ ჩიკვაშვილსა და ისხაკ ზონენაშვილს ვაჭრობის წესრიგის დარღვევის გამო

✦ დააპატიმრეს ქუთაისის თვითმართველობის ყოფილი მოსამსახურე იოსებ ლორთქიფანიძე სამსახურის დროს ბოროტმოქმედების ჩადენის გამო.

✦ გუშინ დაბა ზესტაფონში მოხდა შორაპნის მაზრის მევენახეთა კრება.

✦ ოზურგეთის მაზრის სოფელ აცანაში გადაიცვალა 120 წლის მოხუცი გიორგი ჩხაიძე, რომელსაც, წლოვანების მიუხედავათ, სიფხიზლე და მეხსიერება არ დაკარგვია.

✦ ხმებია, კავკასიაში მეფის მოადგილის თანაშემწეს შატილოვს სხვა, მაღალ თანამდებობას აძლევენო.

✦ ამ მოკლე ხანში თფილისში დასდგამენ აკაკის ახალ დრამას „სიყვარულს.“

✦ წრევანდელ სეზონში თფილისის ქართულ თეატრში დასდგამენ ჩვენი ნიჭიერი ბელეტრისტის დ. კლდიაშვილის ახალს, ერთ მოქმედებიან კომედიას:— „უბედური“.

✦ დეკემბრიდან თფილისში გამოვა ყოველკვირეული სალიტერატურო ჟურნალი „სუსხი“.

✦ სახელმწიფო სათათბიროს სამიწისმოქმედო კომისიამ პრინციპიალურათ მიიღო ამიერკავკასიაში სანადელო მიწების გამოყიდვის საკითხი. პროექტის ერთი ნაწილის შესახებ მსჯელობა, რომელიც გამოსაყიდი მიწის რაოდენობასა და ფასს შეეხებოდა, კომისიამ გადასდვა, სანამ მთავრობა საჭირო ცნობებს წარადგენდეს.

✦ „ნოვ. ვრემიას“ სიტყვით მიწის გამაუმჯობესებელ კომისიას უკვე შეუმუშავებია პროექტი მტკვრის მარცხენა ნაპირის გასწვრივ მიწათა მორწყვის შესახებ. სულ ამ საქმის მოწყობა 11 მილიონ მანეთად დაჯდება.

# დღიური.

რუსეთმა წინადადება მისცა ოსმალეთს ბოსფორში კომენდანტათ რუსი აფიცერი დანიშნეო.

— სახელმწიფო საბჭომ პოლონეთის ქალაქის თვითმართველობებში პოლონური ენის ხმარება არ შეიწყნარა.

— სმოლენსკის გუბერნატორი ნაციონალისტის გადასახლებისათვის სამსახურიდან დაითხოვეს.

— სათათბიროს დღესასწაულების გამო 7 დეკემბერს 10 იანვრამდი დაითხოვენ.

— ობერპროკურორი საბლერი ლივადიაში საჩქაროდ მიიწვიეს.

— პირველი დეკემბრიდან მოსკოვში ა. ა. სუვორინის რედაქტორობით ყოველდღიური გაზეთი გამოვა.

— სახელმწიფო საბჭოს კომისიამ გადასწყვიტა გადასდვას 20 მილიონი მანეთი ლოთობის წინააღმდეგ საბრძოლათ.

# პოლიტეხნიკუმის ბედი.

გუშინდელმა „სახალხო გაზეთმა“ ცუდი ცნობა მოგვიტანა:- „როგორც დანამდვილებით გავიგეთ, მეფის მოადგილე უპირატესობას ნავთლუღს აძლევსო. ამ რიგათ საქმე საბოლოოთ გადაწყვეტილათ უნდა ჩაითვალოს ნავთლუღის სასარგებლოთო“

თფილისის სხვა გაზეთებში ასეთი გადაჭრით ცნობა არაა მოყვანილი. როგორც ვიცით, ეს საქმე მეფის მოადგილის საბჭოში გუშინ უნდა გადაწყვეტილიყო საბოლოოთ. და ჩვენი სურვილია, რომ ეს წინასწარი ცნობა „სახალხო გაზეთის“ არ გამართლებულიყოს. ეს სამართლიანობის ფეხით გაქელვა იქნებოდა... დიდი უმეტესობა იმ კომისიის წევრებისა, ვინც დღემდი დიდი ხანია პოლიტეხნიკუმის ადგილის ბედ-იღბალს სჭრიდა, საბურთალოს მომხრე იყო. სრულიად ქართველობის წადილიც საბურთალოს მხარეს იყო.

და თუ კი საქართველოში ქართველი ერის ხმას ანგარიშს გაუწევენ, მის სამართლიანსა და საბუთიანს წადილს ყურადღებით მოეპყრობიან—ეს არ უნდა მოხდეს... ნავთლუღი არ უნდა არჩიონ საბურთალოს და მით არ უნდა დაადასტურონ, რომ ჩვენ ჩვენს ქვეყანაში აბუჩათ გვაგდებენ...

# ბანკის რწმუნებულთა კრება

26 ნოემბერი.

თავჯდომარემ ნ. ყ. თავდგირიძემ საღამოს 7 საათზე გახსნა კრება. მდივანი კითხულობს წინა კრების ოქმს. კრების თხოვნით წაიკითხეს აგრეთვე კრების დაწვრილებითი ანგარიშიც. თავჯდომარე ამბობს, რომ საკითხი უკვე გარკვეულია და მას კენჭი ვუყაროთო, მაგრამ გამგეობ ს წევრი იაკობ ფანცხავა მოითხოვს სიტყვას.

იაკობ ფანცხავა ციფრებით ამტკიცებს, რომ ჩვენი ბანკი ძალიან კარგს მდგომარეობაშია და ამიტომ სრულიად უსაფუძლოა ბ. ვარლამ ჭილაძის შიში ამ ბანკის ბედ-იღბალზე, პირიქით, ჩვენს ბანკს ძალიან კარგი ბედი მოელისო.

ი. მესხი. ლაპარაკობენ ბანკის მომავალზე და დღევანდელ მის მდგომარეობაზე კი სიტყვასაც არ ამბობენ. ერთი მითხარით, ყველამ რომ შემოიტანოს თავისი სესხი, მერე რაღათი იცხოვრებთ?.. დღეს რა გაქვთ თქვენ?..

იოსებ კაკაბაძე: კომისიის მოხსენება მოფიქრებით არის შედგენილი, და ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც მასში ფრიად მომზადებული კაცები მუშაობდენ, მაგრამ ამ მოხსენებაში არის ისეთი შეცთომები, რომელიც ჩვენ უნდა გავასწოროთ, ასე მაგ.: გამგეობისა და დამფასებელი კომისიის წევრები ისეც უზრუნველყოფილი არიან; მათ თამამათ შეუძლიათ სამი კვერცხის ყიდვა, მაშინ როდესაც III-სა და IV ჯგუფში მოთავსებულ მოსამსახურეთ ერთი კვერცხის ყიდვაც კი უჭირსთ. ამის გასასწორებლათ მე შემომაქვს ასეთი წინადადება: პირველი ორი ჯგუფის მოსამსახურეთ მიეცეს ბანკის მოგების 2%, დანარჩენთათვის კი მივიღოთ კომისიისაგან შემუშავებული პროექტი. მინდა აგრეთვე გავიგო: ვინ რომელ საათზე შემოდის ბანკში სამუშევრათ და ვინ როდის გადის?..

აქ იოსებ კაკაბაძე გააჩერეს და მანაც გაათავა თავისი სიტყვა.

გ. ჭიღაძე: ბ. იაკობ ფანცხავა ბანკის მომავალზე ლაპარაკობს, მე კი მის დღევანდელ მდგომარეობაზე მსურს ლაპარაკი. წარსულ წელში რაც შემოსავალი გვქონდა—ის ვერ აკმაყოფილებს ხარჯებს... აქ მას ბანკის უნუგეშო მდგომარეობის დასახატავათ ციფირები მოყავს, რომლითაც იგი თითქოს ჭუნდობლობას უცხადებს იაკობ ფანცხავას მიერ მოყვანილ ციფირებს.

თავჯდომარე: მე ვთხოულობ, რომ გამგეობისგან მოყვანილ ციფირებს უჯეროდეთ და სიმართლეს აღიარებდეთ...

# მოხსენება*)

**კომერციული ცოდნის გამავრცელებელ საზოგადოებას.**

ბატონებო! უმორჩილესათ გთხოვთ, ჩემი დღევანდელი მოხსენება არ ჩასთვალოთ რაიმე სერიოზულ ნაწარმოებათ... ეს არის პირადი ჩემი აზრი იმ საგნის შესახებ, როდესაც თქვენ მიერ ყურადღებას ვითხოვ და მაპატიეთ, თუ მკაფიოთ ვერ გამოვსთქვა ის, რის თქმაც მინდა.

ეს გახლავთ ჩემი აზრი იმის შესახებ, თუ ვაჭრობაში რა უნარი გამოიჩინა ქართველმა ხალხმა. დღესდღეობით მარტო იმერეთზე მოგახსენებთ.

ყოველ ერს თავისი არსებობის ხანაში უნახავს როგორც კარგი, ისე ცუდი დღე. რაც უფრო ხანგრძლივი იყო ერის ბედნიერება, მით უფრო ყვაოდა ყოველი დარგი, როგორც მეცნიერებისა, ისე სხვადასხვა ხელოვნებისა, და წინააღმდეგ, რაც უფრო ხანმოკლე იყო მისი ბედნიერება, მით ხანმოკლე იყო ყოველივე დაწყებული კულტურული საქმე და რაღა გვეთქმის ჩვენს პატარა საქართველოზე, სადაც დასაბამითვე აღმული ტრიალობდა, სახლიდან უიარაღოთ გამოსვლა საშიში იყო, ერთი კვალი მიწის მოთხრა არ შეეძლო ჩვენს გლეხს ისე, რომ თოფი და ხმალი, ეს ორი განუყრელი ძმა, თუ შეიძლება ასე ითქვას, თან არ ქონოდა. კი, მართალია, მასაც უნახავს დიდებული დღეები, გაფურჩქვნილა ქართველის ნიჭი, აყვავებულა ყოველი დარგი მეცნიერებისა და ხელოვნებისა. მაშინ ბუნებით უხვათ დაჯილდოებული მხარე ჩვენი საშობლოისა სამოთხეს წარმოადგენდა; მაგრამ იგივე სამოთხე ხშირათ ჯოჯოხეთად ქცევია ჩვენს ხალხს და ყოველი დაწყებული საქმე ულმობელი მტრის ბოროტი ხელით მოსპობილა. განა შესაძლებელი იყო ასეთს მოუსვენარ პირობებში, როცა ქვეყანა გარშემორტყმული იყო თითქმის ნახევრათ ველური ერებით, ჩვენში განვითარებულიყო აღებ-მიცემობა, ვაჭრობა? ვაჭრობის გასავითარებლათ, სხვა პირობებს გარდა, საჭირო იყო პოლიტიკური სიმშვიდე, ნახევრათ ველური მეზობლების მაგიერ, კულტურული, ეკონომიურათ განვითარებული ერები, არც პირველი, არც მეორე და დავთრისა და ალაბის მაგიერ ხმალი და თოფი. აბა, მიბძანეთ, ვის უნდა ევაჭრა. ზოგიერთების აზრით, ქართველ ხალხს მისთვის უნარი არ შესწევდა, ნიჭი არ ქონდა და არც ახლა აქვსო. ჩემის აზრით კი, ეს სრული შეცდომაა. ჩვენი ისტორია გვიმტკიცებს, რომ რაც სამშობლოსა და სარწმუნოების დაცვას შეეხებოდა ჩვენმა ხალხმა შეუძლებელი სასწაული ჩაიდინა, მთელი 15 საუკუნე გაუმკლავდა ეს პატარა ხალხი აურაცხელს შემოსეულ მტერს და, ვიდრე ნაფლეთებათ არ იქცა, ქედიც არ მოუხრია. ამ ხნის განმავლობაში აურაცხელი გმირი შექმნა, ბრწყინვალე მეფეები ყავდა, რომელთაც შენატროდენ თვით ევროპის დიდი მეფეები; შექმნა უკვდავი ლიტერატურა და სხვა... განა, ამ თუთხმეტი საუკუნის განმავლობაში, რომ ერთი ორი საუკუნე მოსვენებული ყოფილიყო, ჩვენი ხალხი ვერ შექმნიდა ვაჭრობა-მრეწველობას, ჩამორჩებოდა სხვებს? ის ხალხი, რომელიც ასჯერ და კიდევ უფრო მეტ რიცხოვან მტერს მოხერხებით, გაბედულათ იგერიებდა—ვერ შესძლებდა ალაბისა და დავთრის მოხმარებას? ვეცდები დაგიმტკიცოთ?

არ შევეხები იმას, თუ მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდი რა უნარს იჩენდა ქართველი ხალხი ვაჭრობაში. ეს საკითხი ჯერ ისტორიაში არ არის გარკვეული და სჯობს ავიღოთ მე-19 საუკუნე, რომლის ნახევარიც ბევრს თქვენგანს უკვე გავლილი აქვს. როგორც მოგეხსენებათ, მეტათ დაქანცულმა ქართველმა ხალხმა, ამ ას რამდენიმე წლის წინათ, თავი შეაფარა რუსეთის სახელმწიფოს.

საშინელ სურათს წარმოადგენდა ჩვენი ქვეყანა მაშინ. მეთვრამეტე საუკუნის მიწურულებში უკანასკნელათ ამოიხვნეშა ჩვენმა გმირთა გმირმა ერეკლემ. ვინ იცის, რამდენი სიმწარეც იყო ამ მის უკანასკნელ ამოხვნეშაში. ვინ იცის, იქნებ, სრულიად იმედ დაკარგულმა განუტევა გმირული სული.. განა მას საბუთი არ ქონდა უიმედობისა: გარშემო ორგულობა. ღალატი, გაოხრებული მიწა-წყალი, გაძვალტყავებული ხალხი, ერთი სიტყვით, სრული არარაობა.

დაიწყო ახალი ხანა და სურათი ოდნავ შეიცვალა. წარჩინებული წოდება პირველი შეხედვით, ვითომდა კარგათ მოეწყო: სამსახური, საპატივო ადგილები, ჩინები და ორდენები. ამას დაუმატეთ მუქთა მორჩილი ყმები. თითქმის გლეხების გათავისუფლებამდი ჩვენი ბრწყინვალე წოდება არც კი ფიქრობდა სამსახურის გარდა სხვა რასმეზე. მაშინ მათ, მართლაც, დიდი პატივით ღებულობდენ ყოველ სახელმწიფო სამსახურში და ამით განებრივებულებმა დაივიწყეს მიწის მუშაობაც და ვაჭრობას ხომ სულ არ კადრულობდენ. როგორ იკადრებდა რომელიმე მათგანი,—თავისი მამულის ნაყოფი თვით ჩამოეტანა ქალაქ ადგილას და გაეყიდა. ამას თავისი წოდების დამცირებათ სთვლიდა და კიდევაც სრულიად სახტათ დარჩენ, როდესაც 1864 გამოცხადდა გლეხების გათავისუფლება.

მეორე მხრით იდგა გლეხობა, რომელიც მიჯაჭვული იყო ბრწყინვალე წოდების მამულებზე და განძრევას ვერ ახერხებდენ. და ძალიან მცირე ნაწილი ან თავის დახსნით, ან და გაპარვით მიეჩქარებოდა ქალაქებისაკენ. რა საქმე უნდა დაეწყო ამ საცოდავს გაუნათლებელ ხალხს სოფლებიდან გამოხვეწილებს. ხელობა არ იცოდენ, სწავლა არ ქონდათ, რასაკვირველია, თუ სადმე მოჯამაგირეთ დადგებოდენ, ან და სულ იშვიათ შემთხვევაში, იქნებ, სადმე რაიმე სავაჭროში ეშოვათ თავშესაფარი. ამნაირ ადამიანს სად შეეძლო ვაჭრობის დაწყება, არც სწავლა, არც ფული და არც გამოცდილება არ ქონდა. კანტი-კუნტათ მაინც, აქა-იქ ჩნდებოდენ თითო ოროლა ვაჭრები, მაგრამ უმნიშვნელო იყო მათი რიცხვი. უგზოობაც ძალიან ხელს უშლიდა სოფელს ქალაქებთან დაახლოებას. ასე უმნიშვნელოთ განვლო ჩვენი ქართველი ხალხისათვის მთელმა 70 წელმა ვაჭრობა-მრეწველობის მხრით. გათავისუფლდა გლეხობა თუ არა, მისი დიდი ტალღა დაიძრა ქალაქებისაკენ. პატარა ხანს შემდეგ მათ დაედევნა უმწეოთ დარჩენილი ნაწილი ბრწყინვალე წოდებისა, ჩვენმა ქალაქებმა ფერი იცვალა. დიდებული ხანა იყო ის დრო. ჩვენი შეძლებული ბრწყინვალე წოდება ჯიბეებ დატენილი ერთთავათ ქალაქებში დაქეიფობდა და უჯაფურათ მოპოებულ ფულებს ისე ფანტავდა, რომ, ცოტათ ჭკუამყოფელი ადამიანი, ისე არც ბზეს დააბნევს.

ადვილი წარმოსადგენია, ვის ხელში უნდა გადასულიყო ეს აურებელი ეროვნული სიმდიდრე—ცხადია, ვაჭრებისა, და რადგანაც მაშინდელ ვაჭართა შორის ქართველობას ეჭირა არა უმეტეს ორი-სამი პროცენტისა, ესე იგი, ას ვაჭარზე მოდიოდა ორი სამი ქართველი, ფულის დიდი ნაწილიც გადვიდა არა ქართველ ვაჭართა ხელში.

ორივე ჩვენი დედა ქალაქი ავსებული იყო იმერლობით, მაგრამ ვაჭრობას მაინცადამაინც არ ეტანებოდენ, ვინაიდან დიდ სირცხვილათაც მიაჩნდათ მაშინ შვილის ვაჭართან დაყენება, იგივე მამა სიამოვნებით დააყენებდა სადმე თავის შვილს ლაქიათ, და თუ ვისმე წყალობით ცოტათი ანბან ნასწავლ შვილს კაკარდას მოუპოებდა, ეს ხომ დიდი ბედნიერება იყო მშობლებისთვის.

კაკარდის ტრფიალის ხანა, ვინ იცის, რამდენ ხანს გაგძელდებოდა, რომ ჩვენი ხალხისათვის, ჩვენდა საბედნიეროთ, სახელმწიფო დაწესებულების კარები არ გამოეხურათ.

სოფლებიდან ქალაქებში ჩამოსული და ვაჭრებთან თავ-შეფარებული ახალგაზდობა დიდ უნარს იჩენს აღებ-მიცემობაში. მათში 90 პროცენტს იმერლობა შეადგენდა. ცქვიტმა, ენა მახვილმა, ბუნებითი ნიჭით დაჯილდოებულმა იმერელმა, ნო-

*) ეს მოხსენება ავტორს უნდა წაეკითხა ქუთაისის გაჭრების კრებაზე, სადაც მსჯელობა უნდა ყოფილიყო ჩვენს ქვეყანაში კომერციული ცოდნის გავრცელების საზოგადოებაზე. სხვადასხვა მიზეზით ამ კრებას მცირე საზოგადოება დაესწრო და ბ. დათეშიძემ მოხსენების წაკითხვა მომავალი კრებისთვის გადასდვა. ეს კრება კვირას, 1 დეკ. მოხდება საურთიერთო ნდობის ბანკის შენობაში.

რედაქციამ საჭიროთ სცნო ამ მოხსენების წინასწარ დასტამბვა იმ მიზნით, რომ საზოგადოების მეტი ნაწილი წინდაწინ გაეცნოს მას და თანაგრძნობით ადიჭურვოს ამ საგულისხმო საქმისადმი.

რედაქცია.

# ჩემი მწუხარება.

ყოფნა არ ყოფნა.

ისე მოვედი ამ ქვეყნათ ჩვილი, პაწია, პატარა,
რო მაშინ ჩემი მოსვლის მე, სულ არა გამიგიარა!

—

იქნებ, გაჩენა არ მსურდა? არვის უკითხავს არარა...
არც ახლა მკითხავს არაფერს, რა მსურს, რა მინდა, რა არა..

—

ჩემი ცხოვრების მსაჯულათ, ვიღაც უჩემოთ დამდგარა,
რაც მას სურს, იმას მიშვრება, უძლეველ ძალათ გამხდარა...

—

ხან იქ გადმისვრის, ხან იქა, ტანჯული სულისამარა,
შექნილვარ ჩემდა უნებლივ მარად მის მონა-მასხარა...

—

კიდეც ვარ, არც ვარ, რაღაც ვარ, დარდმა უდროოთ დამღარა,
წყევით და კრულვით ვიხსენებ, ვინც ასეთ ბედსა შემყარა...

გინმე დგალი

---

გ. ჭილაძე: მე ტყვილი არაოდეს არ მითქვამს!.. დარბაზში ხმაურობაა. ჭილაძე მაინც ლაპარაკობს.., ილიკო კაკაბაძე სიტყვას თხოულობს, მას სიტყვას არ აძლევენ...

მ. ფალავა: როდესაც ლაპარაკს ვიწყებ, მეშინია, მეც ისე არ შემომწამონ ჩემს თავზე ლაპარაკი, როგორც გუშინ ჩვენი ბანკის იურისკონსულტს ბ. კვირკელიას შესწამეს... გარწმუნებთ, რომ მე პირადათ ჩემთვის არაფერს არ მოვითხოვ, მაგრამ იმ მოსამსახურეებს, რომელნიც თავის ძალას, ენერგიასა და ცოდნას ჩვენი ბანკის კეთილდღეობისთვის ხარჯვენ და ამდენს მუშაობენ—თითქმის დღე და ღამ,—რამდენსაც არცერთ დაწესებულებაში არ მუშაობენ, რომ დაპირებული არ შევუსრულოთ—დიდი დანაშაულობა იქნებოდა... გუშინ ბ. ზდანოვიჩმა სავსებით დაგვისურათა კომისიის მოქმედების დედა-აზრი, მე დღეს მას ახალს ვერაფერს დავუმატებ და არც იმაზე ვიტყვი არაფერს, რომ კომისიის წევრები ბ.ბ. ვ. ჭილაძე და ბ. მოსეშვილი კომისიიდან დემონსტრატიულათ გავიდნენ, ნაცვლათ დაკისრებული მოვალეობის შესრულებისა... ჩვენი პროექტით განზრახული ცვლილებები მინიმუმია იმ სამართლიანი დაჯილდოვებისა, რომლის ღირსიც არიან ჩვენი მოსამსახურეები. გთხოვთ—ამ მინიმუმს მაინც ნუ უარსყოფთ.

ა. კრონიცკი: ღმერთი გამიწყრეს, თუ მესმოდეს ბ.ბ. მოსეშვილისა და ჭილაძის გაცხარების მიზეზი.., როცა საკითხი მოსამსახურეთა ჯამაგირებს შეეხება—ესენი მუდამ ცხარობენ.

ბ. მოსეშვილი ადგილიდან: სტყუი!

ა. კრონიცკი: შენ თვითონ სტყუი!.. ხმაურობა ასტყდება.

თავჯდომარე ზარას არაწკუნებს და ამბობს: არ შეიძლება ასე ყაყანი... ჩვენ უფრო მეტი მოგვეთხოვება და გთხოვთ თქვენს თავს პატივი სცეთ, თვარა იძულებული ვიქნები, კრება დავხურო.

ა. კრონიცკი: აგრეც რო მოხდეს, მე მაგ სიტყვას მოსეშვილს ვერ ვაპატიებ. ბევრი მოუთმინე და ამას ვერ მოუთმენ... ასეთი კაცები ჩვენში არ უნდა იყოს...

თავჯდომარე: პირადობას ნუ შეეხებით!.

ა. კრონიცკი: მადლობა ღმერთს, ილიკო მესხი და მოსეშვილი ერთად არიან; ორივეს ადგილი საპყრობილეშია...

მდგომარეობა მწვავდება... ისმის ყვირილი, მუქარა, ზარის რეკა, ჩოჩქოლი.

თავ. ტ. გურიელი: ვწუხვარ, რომ საზოგადოებაში გაცხარებაა... ძველათ გმირებს გმირობისთვის აჯილდოებდენ, ახლა კი—მილიტარიზმის ხანაში—დამარცხებულებსაც აჯილდოებენ... თქვენც ასე გსურთ და მიტომ მოსამსახურეებიც დააჯილდოვეთ..

ილიკო კაკაბაძე: ბანკის მდგომარეობა გამოკეთდა... იყო წინათ მოსამსახურეები, მაგრამ უვარგისობის გამო—გაირეკა... დღეს კი ჩვენი ბანკის წინსვლა კარგი მუშაობის ბრალია და მიტომ კარგი მოსამსახურეებიც უნდა დაჯილდოვდეს...

ბანკის საკეთილდღეოთ ეკონომია მოსამსახურეთა ჯამაგირებზე კი არ უნდა გავსწიოთ, არამედ—სხვაგან...

ბ. მოსეშვილი: არ უნდა მიეწეროს კ`ცს ის, რაც მას არ უთქვამს.. რადგანაც ბანკის მდგომარეობა სავსებით არ არის გამოკეთებული, ამიტომ მე ბევრი მომატების წინააღმდეგი ვარ. მეხაზი გავუსვი დამფასებლებისა და გამგეობის წევრების ჯამაგირების მომატებას, და ამას მხარს ვუჭერ, დანარჩენი მოსამსახურეების ჯამაგირების მომატების კი წინააღმდეგი ვარ.. არ ვარგი სხვისი სიტყვების ბნელათ გამოყვანა...

ალ. კრონიცკი ამბობს: „ბნელათო"... მთელი მისი სიცოცხლე კი ბნელია...

ზალაში კვლავ ხმაურობაა.

ი. ზურაბიშვილი: ყოველწლობით, როდესაც ჩვენ ანგარიშს ვიხილავდით—მუდამ მოსამსახურეების ჯამაგირებზე გვქონდა ლაპარაკი. ამის თავიდან ასაცილებლათ, თქვენ მიერ არჩეულმა კომისიამ, თქვენივე წინადადებით, შეიმუშავა შტატების პროექტი, რომელიც ამ საკითხს სამუდამოთ სწყვეტს. როდესაც თფილისის აგენტურის კაცი უჯამაგიროთ იყო—ჩვენი საქმე იმდენათ დაიხლართა, რომ მის გამოსწორებას დიდი ხანი სჭირია... შრომის დაჯილდოება აუცილებელია.

კითხულობენ მოსამსახურეთა თხოვნას, რომ პროექტის გარდა მათ მიეცეთ დამატებითი ჯილდო.

გ. ზდანოვიჩი: წარმოდგენილი პროექტით ზოგიერთ მოსამსახურეს წლიურათ ეძლევა სადღესასწაულო ჯილდოთ ორი თვის ჯამაგირი, ზოგს მათგანს კი ერთი თვის. კენჭი ვუყაროთ შესწორებულ პროექტს იმ რიგათ, რომ სადღესასწაულო ჯილდოთ ყველას მიეცეს ორი თვის ჯამაგირი და ათასი მანეთი კი გადაიდვას გამგეობისა და კომიტეტის განკარგულებაში ზოგიერთი მოსამსახურის დასაკმაყოფილებლათ.

ყრის უდგამენ კომისიის მიერ წარმოდგენილ პროექტს და ბ. გ. ზდანოვიჩის წინადადებას.

პირველი, 36 ხმით 35 წინააღმდეგ, უარყვეს; მეორე კი, 46 ხმით წინააღმდეგ 25-სა, მიიღეს.

## ქუ-იქაური.

ამ ერთი თვის წინათ ერთი ახალგაზდა გავიცანი, არც სულ ახალგაზდაა, სწავლა დასრულებული აქვს და, როგორც იტყვიან—თავი უკვე ქუდში აქვს, საქმის კაცია. გაცნობისათანავე ისე მომეწონა და შევეთვისე, რო თითქოს ათი და მეტი წლის ერთად შეზდილი მეგობრები ყოფილვიყავით. მხიარული, კარგი მოლაპარაკე, ენა მახვილი, ბევრი მხრით სასიამოვნო ყმაწვილი... სულ სამჯერ-ოთხჯერ შევხვდით ერთმანეთს და ყოველი შეხვედრის დროს ვით სულიერი მეგობრები, ისე მივეგებებოდით ერთმანეთს.

იმ ადგილს, სადა ეს ჩემი ნაცნობი ცხოვრობდა, ერთი რამ საქმის 'გაკეთება განვიზრახეთ. ვურჩიე საქმის თაოსნებს და მივუთითე იმ ჩემს ნაცნობზე:—იმაზე უკეთ ვინ დაგეხმარებათ ამ საქმეში, მივანდოთ ყველაფერი იმას-მეთქი..—მერე შენ ის ,,ჩვენი'' გგონიაო?—მითხრა ერთმა.

გული დამწყდა. არ დავიჯერე, ვერ დავიჯერე, რომ ის მართლა ,,ჩვენი'' არ ყოფილიყო, მაგრამ...

ერთ დღეს, ამას შემდეგ ვნახე, ვნახე და მითხრა:

— დახმარებით, დიდის სიამოვნებით დაგეხმარებით... სულითა და გულით დასელი ვარ, მარა ფანატიკოსი არა ვარ და ვერც შევეგუე ჩემი ამხანაგების ამ უკიდურეს ფანატიკობას, არცა მყავს ,,ამხანაგი'' მათ შორის. უნდა გამოგიტყდე, თქვენც ბევრი ცოდვა მიგიძღვისთ, მარა რაღაც კავშირი და მეგობრული დამოკიდებულება თქვენიანებთან უფრო მაქვს ხშირათ, უფრო ხშირათ. იქნება,—იქნება კი არა, ნამდვილათ [illegible] რომ ეროვნულ საკითხში თქვენკენა ვარ... [illegible] ინტერნაციონალიზმი ენაზე აკერიათ, სიტყვით, საქმით-კი ღმერთმა შეინახოსთ. მათს ორგანოებში კორესპონდენციებია, და სულ გურიიდან. ხო გაგიგონია:—,,გურიაში რა გინდოდა, თუ სიკვდილი არ გინდოდაო.'' არავინ არ გააჭაჭანებს თავის კუთხეში, მაზრის შოვინისტებიო. და უპირველესად კი ეს გურულებია ვითამ ინტერნაციონალიზმის ალმსარებელნი, მქადაგებელნი... და სხვა და სხვა... ვიმასლაათეთ დიდხანს ამ ჰანგზე...

და დასელებს რო კითხო—ეს რენეგატი, მოღალატე უნდა იყოს.

მეტი, მეტი გაჩნდეს ასეთი რენეგატები, და სხვა მეტზე კი მერე ვილაპარაკებთ. დ.

---

ქართა შორის თავი ისახელა და თანდათანობით იწყებს თავისს საკუთარ საქმეებსაც. ეს ხდება მესამოცე-მეოთხმოცე წლებს შუა. იმისდა მიუხედავათ, რომ არც თანხა აქვთ საყოფი, არც კრედიტი მოეპოებათ, მაინც აწევენ გასაჭირს თავს და გამოდიან ვაჭრობის სარბიელზე. ავიღოთ მაგალითად ქუთაისი.

სულ ათიოდე ქართველი თუ მოიძებნებოდა, მათ რიცხვში საპატივო ადგილი ქართველ კათოლიკებს ეჭირათ რომელთაც დიდი ღვაწლი მიუძღვისთ, როგორც ძველ ვაჭრებს, ახალგაზდების გამოზდაში. მაგრამ დღეს კი რიცხვმა საგრძნობლათ იმატა, რაც დამამტკიცებელთა იმისა, რომ არც ისე უნიჭო ყოფილა ქართველი, რომ ვაჭრობაში უნარი არ გამოეჩინა. საზოგადოთ დიდი მადლობის ღირსი არიან ჩვენი მეზობლები სომხებიც, რომელნიც იმერლებს დიდი სიამოვნებით იყენებენ და აკი მათი წყალობით გაიკვლიეს გზა ვაჭრობისკენ.

მაგრამ, საზოგადოთ, ამ ახალგაზდა ქართველ ვაჭრებს თანხის მხრით ვერ ქონდათ კარგათ საქმე მოწყობილი. მართალია, ქუთაისში დააარსეს საურთიერთო ბანკი, მაგრამ ვინაიდან ქუთათური ვაჭრების რიცხვი ძლიერ ცოტა იყო, ბანკი არა ვაჭრებს ჩაუარდათ ხელში და ამას რა შედეგი მოყვა, თქვენც კარგათ მოგეხსენებათ.

თფილისში გახსნილი კომერციული ბანკი სხვადასხვა მოსაზრებით იგვიანებდა ჩამოსვლას და დანარჩენი კომერციული ბანკები ჯერ თფილისშიც არ ჩამოსულიყო. კერძო ფული კი იშოვებოდა, მაგრამ, ვაი მას, ვის დუქანშიც შევიდოდა (მაშინ ხომ ათშაურიანობა იყო)! ძირიან-ფესვიანათ ამოაგდებდა და კიდევაც ვიცით მეტად სამწუხარო მაგალითები განადგურებისა ისეთი ღირსეული ვაჭრებისა, რომ მათ ბანკები მოსწრებოდათ, არ მოისპობოდენ.—განა შეიძლებოდა ამგვარ პირობებში ვაჭრობის განვითარება და მით უფრო „პარტიით" ვაჭრობისა. ეს საქმე ხომ ძლიერ დიდ თანხას თხოულობდა და ვის ქონდა საყოფი. თუ რა მხრით ვაქცევ მე ,,პარტიით'' ვაჭრობას ფრიად დიდ მნიშვნელობას, მოგახსენებთ.

თითქმის მთელი ქუთაისის გუბერნიის წვრილი სოფლელი ვაჭრები საქონელს ქალაქ თფილისში ყიდულობდენ. თფილისელი ვაჭრები, მაშინდელი დროის შესაფერათ რომ ვსთქვათ, ყეინები იყვენ. ჩავიდოდა სოფლის ვაჭარი და გამარჯვებას შემდეგ პირველი კითხვა იყო:—„იმერელო, რამდენი ჩამოიტანეო". კარგათ წარმოიდგენთ, თუ რა ათი თორმეტი მოგებით გამოატანდა საქონელს მოწყალე ყეინი ჩვენს იმერელს. თითქმის ოცდა ათი წელიწადი უზიდავდენ გულუბრყვილო იმერლები თავის ყეინებს ღალას. კარგათ წარმოიდგენთ, რამდენი წლიური მოგება რჩებოდა ქალაქ თფილის იმერეთთან ვაჭრობით.

კარგათ მოგეხსენებათ—სწავლას ხარჯი მოსდევს, მართალია, იმერეთმა ბლომა ფული გადაიხადა, მაგრამ სამაგიეროთ სწავლაც შეიძინა და ჩოთქი რომ გავკრათ, განსხვავება, მგონია, ბევრი არ იქნეს.

სწორეთ საჭირო იყო, რომ ქუთაისშივე დაარსებულიყო პარტიით საქონლის სავაჭროები, რათა იმერეთის, ოდიშისა გურიისა და აფხაზეთის საჭირო საქონელი აქვე ქუთაისში გასაღებულიყო.

უკვე მე-19 საუკუნის დამლევს აქა-იქ ჩნდება მეპარტიეები. გადის სულ ორიოდე წელი და ირყევა საძირკველი ჩვენი საურთიერთო ბანკისა. სხვა კომერციულ ბანკებთან შედარებით უფრო მოძრავი, გამჭრიახი აზოვის ბანკის გამგეობა ხელათ სარგებლობს ამ გარემოებით, განყოფილებას ხსნის ქუთაისში. აზოვის ბანკმა ღირსეულათ ისარგებლა მარტოობით, მაგრამ რაც სიმართლეა ძლიერ შეუწყო ხელი როგორც წვრილის, ისე სხვილი ვაჭრობის განვითარებას. იმავე ხანებში იზდება პარკის წარმოება და აქაც სანდო ვაჭრებს ძალიან დახმარებას უწევს. პარკის საქმეს მოყვა ბამბის საქმეც—მას კიდევ ყურძენი და სხვა. ერთი სიტყვით, ქუთაისში დაიწყო ახალი ხანა—განვითარდა წვრილი და სხვილი ვაჭრობა—და მჭიდრო ქსელი გააბეს ქუთათურმა ვაჭრებმა მთელ გუბერნიაში.

ეს გარემოება არ იამათ თფილისელ ვაჭრებს, კარგათ იგრძნეს საფრთხე საიდან მოელოდათ და აკი მათში სუყველაზე უფრო დაინტერესებულმა იმერეთით, თავისი განყოფილება გახსნა აქ, თითქო იმიტომ, რომ შეებრალა სოფლის ვაჭრების ჯიბე ზედმეტ ხარჯებისაგან, რაც მათ თფილისში მოგზაურობით მოსდიოდათ.

აზოვის ბანკის გვარიანმა დიდმა მოგებამ მადა აუძრა დანარჩენ ბანკებსაც და შემდეგ გვესტუმრება ვოლგა-კამის ბანკი და მას ამ ბოლო დროს მოყვა თფილისის კომერციული ბანკის განყოფილებაც. გვიან კი მოგვინახულეს ამ ჩვენმა მეზობლებმა, მაგრამ კიდევ კარგი, რომ სულ მაინც არ დავავიწყდით. აი, ამ ზემო ჩამოთვლილი პირობების წყალობით ქუთაისის ვაჭრებმა წაართვეს თფილისელებს სულ უკანასკნელი სამი მეოთხედი იმერეთის ვაჭრობისა. არ შემიძლია მე, ქუთათურმა სიხარულით არ აღვნიშნო ეს მოვლენა და თან ვუსურვებ ჩვენებურ ვაჭრებს, რომ მალე გადაელახოთ სურამის მთა და იმას იქითაც მოეპოებიოსთ ბაზარი თავის საქონლისთვის. პატარ-პატარა ნიშნები უკვე ჩანს, რაც საქმის დასაწყისია, და ვნახოთ რა იქნება.

რაჟდ. დათეშიძე.

(დასასრული ხვალ).

## სახელმწიფო სათათბირო.

27 ნოემბრის სხდომა.

სხდომას როძიანკო თავჯდომარეობს. შემოსულ საქმეთა შორის არის საკანონმდებლო წინადადება მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში რამდენიმე ცვლილების შეტანის შესახებ. მორიგ საქმეთ არის შინაური და სამხედრო მინისტრის განმარტება დონის ოლქში შავი ჭირის გავრცელების შესახებ, სამხედრო მინისტრის ამხანაგი ვერნადერი ამ სენის გავრცელების ვრცელ ისტორიას მოუთხრობს სათათბიროს. აღნიშნავს სენის წინააღმდეგ დროზე მიიღეთ ზომები და სენიც მოისპო. საექიმო ნაწილის ინსპექტორი მალინოვსკიც ეხება სამხრეთ-აღმოსავლეთში ამ სენის გავრცელებას. მთავრობის წარმომადგენელთა განმარტების გარჩევა შემდეგი სხდომისათვის გადასდვეს. იხილვენ მთავრობის განმარტებას მე-4 სათათბიროს არჩევნების დროს უკანონობის შესახებ. ბურიანოვს ესდეკების სახელით ფორმულა შეაქვს, სადაც აღნიშნულია არჩევნების დროს მრავალი უკანონობა მოხდა, რასაც მთავრობის განმარტებაც ამტკიცებსო, ვინაიდან განმარტებაში არ არის აღნიშნული, რომ არჩევნების დროს უკანონობის ჩამდენი სამართალში არიან მიცემულნი, ამიტომ ესდეკებს მინისტრის განმარტება არ აკმაყოფილებს. როდიჩევი ეხება არჩევნების დამტკიცებას სათათბიროს მიერ და აღნიშნავს ამ არჩევნების დამტკიცებას ერთი ნაწილი სხვანაირათ უყურებს და მეორე კიდევ სხვანაირათო. ზოგიერთების აზრით სათათბიროს ყველა არჩევანი არ დაუმტკიცებია. ზოგი ამბობს, კანონის მიხედვით თუ შევხედავთ, გარდა დიდი ქალაქებისა, ყველგან უკანონოთ მოხდა არჩევნებიო.

დასასრული ხვალ.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ).

რ უ ს ე თ ი.

ურალსკი. 25 ნოემბერს შავიჭირით ავათ გახდა ექვსი, მოკვდა რვა და ერთი კი მორჩა.

ხარკოვი. სამხრეთ რუსეთის სამთო მადნების მრეწველთა კრება გაიხსნა.

პეტერბურგი. პოლიციის საქმეთა პროექტის კომისია პროექტის მუხლობრივ განხილვას განაგრძობს.

სახალხო განათლების სამინისტრომ მინისტრთა საბჭოში ქალთა პროფესიონალური შკოლების შესახებ პროექტი შეიტანა.

უ ც ხ ო ე თ ი

ბერლინი. რეიხსტაგში იხილვენ ბიუჯეტს. სხდომის დარბაზი ხალხით გავსებულია. იმპერიის კანცლერი საგარეო პოლიტიკის შესახებ სიტყვას ამბობს. ეხება ინგლის[illegible] და რუსეთ[illegible] დამოკიდებულებას. იმპერიის [illegible] შემდეგ ცენტრის [illegible] ილაპარაკა. მან მზგავსათ კანცლერისა აღნიშნა: კანცლერის დანიშვნა იმპერატორის საქმეაო. ორატორმა განაცხადა: ბიუჯეტის დამტკიცების მომხრე ვარ, მაგრამ არა კანცლერის, არამედ სახელმწიფო ბიუჯეტისაო. შემდეგ სთქვა: —გერმანია ეკონომიური მდგომარეობის მხრით კარგ მდგომარეობაშია. რაც შეეხება შინაურ მდგომარეობას, ეს კი გამოურკვეველიაო. ილაპარაკა ლიბერალთა ბელადმა ბესერმანმაც. ბესერმანმა აღნიშნა პოტსდამში მოლაპარაკებას შემდეგ რუსეთ-გერმანიის დამოკიდებულება გაუმჯობესდაო და ბალკანეთის ომის დროს რუსეთს გერმანიასთან მეგობრული დამოკიდებულება ქონდაო.

ლონდონი. სეიმის კომისიამ საარჩევნო კანონპროექტის 66 მუხლის გარჩევა დაასრულა.

სტამბოლი. დიდის ამბით გადაიხადეს რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს დახოცილ მეომართა სულის მოსახსენებელი წირვა.

ვენა. უნგრეთის დელეგაციის სხდომაზე გრაფმა ანდრაშიმ განაცხადა — გერმანიის მოქმედებიდან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოყვანა, ვითომ გერმანიას ეღალატებიოს ავსტრო-უნგრეთიისათვის და ისე არ ემოქმედოს, რაც ავსტრია-უნგრეთის მხრით მოწონებას გამოიწვევდა. ორატორი მომხრეა სამი სახელმწიფოს კავშირის, ვინაიდან, მისი აზრით, ავსტრო-უნგრეთის მომავალი ცუდი იქნება, თუ გერმანელები ვინმემ დაამარცხა.

ვენა. უნგრეთის დელეგაციის სხდომაზე პრეზიდენტმა ტისამ სთქვა:—რუსეთი ბალკანეთის საკითხში დიდიხანია ორი გზით იბრძვის. უპირველეს ყოვლისა მისი სურვილია ბალკანეთზე გამაგრდეს თუ ტერიტორიის შეძენით და თუ სხვა რამეთი. აგრეთვე მიზნათ აქვს დასახული ბალკანეთის ხალხის სხვის აპეკისგან გათავისუფლება. ტისა სიამოვნებით აღნიშნავს რუსეთთან დამოკიდებულების გაუმჯობესებას.

## ფოთის ქალაქის საბჭო.

სამშაბათს, 19 ნოემბერს, საღამოს 8 საათ. შესდგა საბჭოს სხდომა ქალაქის მოურავის მოადგილის ს. ჭოჭუას თავჯდომარეობით. ამ სხდომას ჩვეულებრივზე მეტი ხმოსანი დაესწრო. დარბაზი სავსე იყო გარეშე მაყურებლებით.

წაკითხული და დამტკიცებულ იქნა წარსულის კრების ოქმები. შემდეგ საბჭო მორიგი საგნების განხილვას შეუდგა. დიდი კამათი და აურზაური გამოიწვია ხმ. საბახტარაშვილის შეკითხვამ ქალაქის ბაღში პავილიონის აშენების შესახებ.

რადგან გამგეობის მოქმედებას ეხებოდა ეს საკითხი თავჯდომარის ადგილი დაიჭირა ხმოსანმა კ. გაბუნიამ.

ხმ. საბახტარიშვილი მოითხოვს აუხსნან, რა უფლებით ხელმძღვანელობდა გამგეობა როდესაც 5052 მ. 79 კაპ. ქალაქის ბაღში პავილიონის აშენებისთვის დახარჯეს, როდესაც საბჭოში ამის შესახებ კრინტიც არ დაძრულა.

ხმ. ესაკია. რატომ დაიხარჯა? რა საფუძველი ქონდა? როდესაც ამდენი ფულები იხარჯებოდა, ჩვენ უნდა გაგვეგო. გამგეობა ვალდებული იყო დაგვკითხებოდა. დღეს რა გვეთქმის, როდესაც უჩვენოთ მოქმედებთ, რაც გინდათ, იმას ჩადიხართ; როგორც გინდათ, ისე მოქმედებთ. თუ ვინმემ გვაჩუქა და აგვიშენა ბაღში პავილიონი მადლობის ღირსია, და საყვედურს რას ვერჩით, თუ გადასახადათ და კისერზე ვალათ გვაწევს, მაშინ, ვინც თავისი ნებით დახარჯა, ის არის დამნაშავე, რადგან კარგათ უნდა ცოდნოდა ქალაქის წესდება, სადაც გარკვევით არის აღნიშნული, რომ 50 მანეთზე მეტის დახარჯვა, საბჭოს დაუკითხავათ, გამგეობას არ შეუძლია. ბევრი რომ არ ვილაპარაკოთ, და უბრალოთ დრო არ დავკარგოთ, პირდაპირ დავსვათ კითხვა:—„პავილიონზე" დახარჯული ფული მივიღოთ თუ არა.

ხმ. დადიძე, ლაპარაკობს ქუჩების სიცუდეზე, გაუნათებლობაზე, მოყავს მაგალითები და შემდეგ: სწორეთ ეს მთელი ჩემი წინასიტყვაობა პავილიონისკენ არის მიმართული. როდესაც ბაღში ნახეს მშვენიერი უზარმაზარი შენობა წამოჭიმული, მაშინ შემომხვდენ მიყრუებული ქუჩის მცხოვრებნი და შემომჩივლეს. შე კარგო კაცო, გვატყუებთ, ფულები არ არისო, და იქ კი კარტის სათამაშო, დროს-სატარებელი გაგიშენებიათო! თუ ფული არ გქონდესთ, საიდან მოი-

საპაჭრო სახლი
**ი. გოკიელის ძმ—ბის**
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის
**ხ. ხრისტოდულიდის** (რომელ-საც წინათ ეძახდენ წერეთლის)
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტე[illegible] თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფია ექვს მისხლიანი. **მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70** [illegible]
ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის საჰაეროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმუკაში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
**ფ. ს. ფილიპოვისა.** ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.


ტანეთ, ღმერთს ხომ არ ჩამოუგდია ისე მზათ იმხელა შენობა. ეს არ არის მცხოვრების პატივისცემა. ჩვენ ვიხრჩობით, სახლიდან გარეთ ვერ გამოსულვართ, ქუჩებში ნავები გვჭირია და თქვენ დროს სატარებლათ ბინებს აგებთო. ეს არის თქვენი პატრონობაო?—ასეთი სიტყვებით მომმართა ბევრმა და მეც ვერაფერი ვუთხარი, რადგან გასამართლებელი არა მქონდა. ახლა, ბატონებო, მეც ჩემდა თავათ მომხრე ვარ კენჭი ეყაროს გამგეობის მოქმედებას.

**ს. ჭოჭუა.** ძველი შენობა დაიწვა, საჭირო იყო ხელახლა აშენებულიყო. არავითარი გასართობი, თავშესაქცევი აქ არ მოიპოვება, რა უნდა ქნას უცხო ქვეყნიდან ჩამოსულმა კაცმა, სად წავიდეს, თავი ხომ უნდა შეიქციოს. აუცილებელ საჭიროებას მოითხოვდა შენობის აგება, მაგრამ ფული არ იყო, ქალაქს არ შეეძლო თავისი ფულით გაეკეთებია. მაშინ აღმოჩნდა ერთი „სულელი“ ხმოსანი და თავს იდვა შენობის გაკეთება. დღეს კი როდესაც შემოსავალს კარგს იძლევა, შენობაც კარგია, საყვედურითა და პროტესტებით ქვეყანას აქცევენ ისეთი პირები, ვინც ყოველ ღამე თვითონ დაბძანდებოდენ და დროს ატარებდენ იმ საზაფხულო პავილიონში. აბა, ახლა მითხარით ერთი, სად არის აქ სიმართლე, სად არის პატრიონობა და ქალაქის ინტერესების დაცვა (აღელვებული), პირიქით პირადათ ჩემზე გადმტერებული, რას ჩადიან, თვით არ იციან.

**ხმ. ქსებუა** (განცვიფრებული). რაც გაკეთებულია, ის „უჟე“ გაკეთებულია, იმაზე ლაპარაკიც არ ღირს. როდესაც აშენების თაობაზე ლაპარაკობდით, წინაამდეგი ვიყავი. მაშინ მისაყვედურებდით, ახლა რა დროსია, რაკი დახარჯულა, უნდა მივიღოთ. თქვენ თვითონ სთხოვეთ გაკეთება. ჩვენ ნაფიცი ვართ, ტყუილი რომ ვსთქვათ, არ ვარგა.

**ხმ. საბახტარაშვილი.** კიდევ ვიმეორებ, რა უფლებით დახარჯა გამგეობამ 5052 მან. 79 კ. ჩვენდა დაუკითხავათ. ვინც დახარჯა, მან გადაიხადოს. ერთ დროს მეც გავაკეთე ის შენობა, დაჯდა 1200 მან. დღეს კი 5052 მან 79 კაპ. თუ ამდენი ფული გვქონდა და შეგვეძლო ასე თავისუფლათ დაგვეხარჯა, რისთვის მეორე აფთიაქი არ გავხსენით. მაგრამ თქვენ აფთიაქი სულაც არ გინდათ რომ ქალაქს ქონდეს. საწყალი, გაჭირვებული რომ შემოვა, კიბის კვრით ისტუმრებთ გარეთ, იმის მაგიერათ, რომ ხელი წაუწეროთ რეცეპტზე... პავილიონისა და მუზიკისთვის სიხარულით გაიკარით ჯიბეს ხელი და 7000 მანეთამდი ვალი დაადევით ქალაქს.

**ხმ. ქსებუა.** იმ ღამეს, კომისიის სხდომაზე რომ ძალიან თანახმა იყავით, დღეს თავს რათ იკლავთ, ნეტავი ვიცოდე, რა მიზეზია, (პირჯვარს იწერს).

**ს. ჭოჭუა.** ვიცი, რისთვისა და რაზეც ლაპარაკობენ ამდენს. ჩვენ არჩევამდი რაც აქ ხდებოდა ღმერთის მეტმა არავინ იცოდა. როდესაც მე ამირჩიეს, ისე ვერ ახერხებენ, როგორც წინათ ახერხებდენ სხვადასხვა კომბინაციის მოწყობას. სადავე ხელში მაგრათ დავიჭირე და წინათ, რომ მანქანა სხვანაირათ ბრუნდებოდა, შევაჩერე, ახლა სულ სხვანაირათ ტრიალობს, ახლა ვერაფერს ახერხებენ და მისთვის ამიხირდენ. (ხმოსნებში ხმაურობაა. თავჯდ. ამშვიდებს).

**ხმ. დოლიძე.** რისთვის სხვა რამეზე გადაიქვთ საკითხი, როდესაც გვინდა გავიგოთ: რათ აშენებენ ჩვენდა დაუკითხავათ. კუტუზოვის ძველი ამბავი ჩვენთვის საჭირო არ არის.

**ხმ. გამბარაშვი.** სჯობს კენჭი ვუყაროთ, რა საჭიროა ბევრი ლაპარაკი.

კენჭი უყარეს და გამგეობის მოქმედება დაგმეს, უკანონოთ სცნეს. მხოლოდ დამატებითი სმეტა მიიღეს და ვალათ იცვნეს. **კომეტა.**

## დაბა-სოფელი.

**ს. ცაიში** (ოდიში). 22 ნოემბერს ჩვენს გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობას რევიზია გაუკეთა წვრ. კრედ. ინსპექტორმა ღლონტმა. საქმე თავის რიგზე ნახა და კმაყოფილი დარჩა ყველაფრით. დაინახა, რომ საჭიროა კრედიტის გაფართოება და შეგვპირდა შუამდგომლობას. ინახულა აგრეთვე ხეთის ამხანაგობაც, სადაც საქმეების წარმოება და ყველაფერი კარგ ნიადაგზე აღმოჩნდა. და იმედი მისცა აქაც სესხის მომატების შესახებ.

ამ დღეებში თავის სახლში, თოფით მოიკლა თავი ახალგაზრდა, 18 წლის ყმაწვილმა პავლე ვართაგავამ. მიზეზათ რომანტიულ ნიადაგს ასახელებენ.

ვილაც პირების ჩალაპარაკებამ ერთი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ააგულიანა და მოითხოვეს მონასტერთან დაფუძნებული შკოლის სადღაც ტყის მხარეზე გადატანა. ბლაღოჩინმა თოდუამ ბევრი შრომა და ხარჯიც გასწია, რათა აეშენებია შკოლისთვის საკუთარი ქვის შენობა მონასტერთან. იმის მეცადინობამ, მართლაც, ნაყოფი მოიტანა და ისეთი საშვალება გამონახა საზოგადოების უშემწეობით, რომ შეუდგა შენობის აშენებას, მაგრამ გამოჩნდენ პირნი, რომელთაც მოინდომეს ამ საქმის ჩაშლა და შკოლის უადგილო ადგილს გადატანა, არვინ უწყის, რა მოსაზრებით. **დაჩხორი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბატონო რედაქტორო!**

თქვენი გაზეთის მე—18 №-ში დაბეჭდილია, რომ დაიკარგა სივსივას გოგო 11 წლისაო. ეს გაზეთი წაიკითხა სოფელ ჩუნეშიდან ჩამოსულმა ჩემმა სტუმარმა თავადმა ანტონ ლორთქიფანიძემ და მითხრა, რომ გოგო, რომელიც არის მოხსენებული ამ გაზეთში, გაპარულა ქუთაისიდან და მისულა სოფელ ქვილიშორში დუქნებში, იქიდან მისულა ქვილიშორშივე მცხოვრების გლეხის ივანე კოლუაშვილისას, სადაც ახლაც იმყოფება. ეს სოფელია წყალტუბოს საზოგადოებაში. **თომა მაჭავარიანი.**

## ა ნ გ ა რ ი შ ი.

23 ნოემბერს „მონპლეზირში“ გამართული სეანსებისა ს. გუბის აკაკის სახელობის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოს სასარგებლოთ.

შემოსავალი ბილეთების გაყიდვით— 143 მან. მ. პ. მოსეშვილმა შემოსწირა 10 მან. პ. პ. მოსეშვილმა 10 მან. სულ 163 მ., გასავალი. „მონპლეზირის“ ქირა 100 მ., ორკესტრისა 12 მ., მარკებისა 10 მ.—46 კ., მარკები ნებართვის თხოვნაზე 1 მ.—10 შ. სულ 123 მ. 96 კ.

ამ რიგათ წმინდა შემოსავალი დარჩა სამკითხველოს 39 მან. და 04 კ. დიდ მადლობას ვუცხადებთ ყველას, ვინც დახმარება აღმოგვიჩინა როგორც ბილეთების გაყიდვით,—აგრეთვე სეანსების დროს: ს. გვარამიას, ქ. მოსეშვილის ს. ჭამკვეტაძის, მ. გვარამიას, მ. მოსეშვილისა და ნ. მოსეშვილის ასულთ, ნიფადორე კვიცარიძისას და ბ-თ ლ. ნიჟარაძეს, ვ. კორძაძეს, მ. ცაგარეიშვილსა და ილ. მოსეშვილს.

გამგე სეანსებისა **აზ. სვანიძე.**
სამკ. სამზ. კომ. წევრი **გდ. მესხიშვილი.**

რედაკ.-გამომცემელი **გ. ბრეგაძე.**


ევროპიული ტანისამოსების სახელოსნო
**ნ. ასათიანისა და ი. გვერდელიძის.**
ქ. ქუთაისი ალექსანდრეს ქ. სახლი თევდორაძისა.
ვღებულობთ ყოველნაირ შეკვეთილ საქმეს, რომელსაც ვასრულებთ დახელოვნებული გამომჭრელის და საუკეთესო ქარგლების ხელით. ყველა ჩვენს მუშტარს შეუძლია ისარგებლოს 1/2 წელს ტანისამოსის უფასო შეკეთებით.

**საცვლების მკერავი ქალი**
სალომე უკლებაშვილისა ღებულობს საკერავებს.
ბაღდადის ქ. სახლი გრიგოლიასი № 64.

გ ა მ ო ც ე მ ა „ს ო რ ა პ ა ნ ი ს ა“
დ ა ი ბ ე ჭ დ ა დ ა გ ა მ ო ვ ი დ ა გ ა ს ა ყ ი დ ა თ
დასურათებული
**კედლის კალენდარი 1914 წ.**
შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ
ფასი 2 აბაზი
კალენდრის გარდანი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერი საღებავით სუფთად და ლამაზათ.
**სახალხო კალენდარი 1914 წ.**
დასურათებული.
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. ფასი 1 აბაზი.
კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან.
ვისაც ზარტიით უიდვა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით: თფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი“.

**КУРСЫ** кройки и шитья для дамъ и дѣвицъ.
**ПРІЕМЪ** заказовъ на элегантные дамскіе наряды
**M-me МАРИ**
На-сколько важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что спеціальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможноть: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомъ и 2) заработывать вдвойнѣ—путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтную практику заграницей и въ столичныхъ городахъ Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого. Поспѣшите записатьса на курсы.
Тутъ же при курсахъ открыта мною спеціальная мастерская для пріема заказовъ исключитеьно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угожденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно-изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.
*Адресъ*: Кутаисъ, 1-ая Александровская ул. д. Бокерія противъ бульвара.
Съ почтеніемъ **M-me МАРИ.**


ქ. ქუთაისში. (საკრებ. ტაძართან).
**ა. თაბაგარის მაღაზიაში.**
მიღებულია დიდძალი საუკეთესო საკერავი, საქსოვი და საწერი მანქანა, გრამაფონები, ველოსიპედები და მათი მოწყობილება. საქონლის სიკარგის პირობას ვიძლევა.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
ვყიდით ნისიათაც თვიური შემოტანით.

ხრესილი.
სამკურნალო
**აბანო**
ძვირფასი მთის აერზე
ძმ. ყორყოლაძეების
თქვენი ფულით ექიმის დარიგებით.
შემოწმებულია და გამოირკვა, რომ ეს მადნეული წყალი კურნავს სხვადასხვა სენისაგან, როგორც არის: ქარები (რევმატიზმები) კუჭისა და თავის ტკივილი, ნერვების სისუსტე და სხვ. წყალი ცივი და თფილიც. აქვეა სუფთა ბინა და სასმელსაჭმელი, აბანო მუდმივ განაგრძობს მუშაობას. ხრესილის სადგურიდან დაშორებულია ორმოცდაათი საჟენის მანძილზე.

**ა. ი. კოხტაშვილის**
**ევროპიულ მაღაზიაში**
(თფილისის ქუჩა, ქალაქის აფთიაქის გვერდით)
კაცების ახლათ მიღებულ ტანისამოსზე 20-ი ნოემბრიდან 1 იანვრამდი
**დანიშნულია**
**დიდი იაფი ვაჭრობა.**
ფასები ძლიერ დაკლებულია.
კოსტიუმები 8—35 მან., შარვლები 4—12 მან., პალტო 10—38 მან.
ფ ა ს ე ბ ი უ ც ვ ა ლ ე ბ ე ლ ი ა.


ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.